ინოვაციურობა და დემოკრატიული პროცესი

INNOVATION AND DEMOCRATIC PROCESSES



დავით ზაქარაია
ფილოსოფიის დოქტორი
სოხუმის სახელმწიფო
უნივერსიტეტის სიზნესისა
და სოციალურ მეცნიერებათა
ფაკულტეტის
ასისტენტ-პროფესორი



მაია წურწუმია
პოლიტიკის დოქტორი
სოხუმის სახელმწიფო
უნივერსიტეტის სიზნესისა
და სოციალურ მეცნიერებათა
ფაკულტეტის ასისტენტი

ABSTRACT

The scientific – technological progress as the most essential block of the information level of the latest development process of human society is most conspicuously revealed through and by the innovative processes in public life.

The innovation itself is a manifold and complicated occurrence that covers several spheres of science, technology, economics, governance and management.

As it has been mentioned, the Innovation is a complicated malty-step process with all its components heaving specific aims on the way of achieving the final goal. Although one essential feature of the modern information age society is its "innovative surplus" so that traditional forms of "socialization of innovations "are frequently insufficient.

The notion that innovations have always been one of the most important means of progress for the mankind throughout its history is quite old, though current situation differs from all the previous ones qualitatively. The universal tendency towards innovations triggered by the information age has inflicted "cultural shock" over societies (A. Toffler) – unpredictability of future, general uncertainty, rapid changes, all leading to the existential risk of an individual. Being the phenomenon unknown until recently it jeopardizes the very existence of a person and threatens it. (A. Giddens).

Rising of openness towards innovations of general culture and strengthening of public awareness towards acceptance of innovations can make possible the establishment of innovation-friendly institutions in any society.

These results and the related threats were foreseen even earlier, when the outstanding theorist of post-industrial era D. Bell had predicted them. As he gives it "Currently we are facing not only the threat of total loss of any reasonable connection with the past, but we have to get prepared for the most unknown future. Not only particular individuals, but the whole societies are facing these threats. " This rather ample excerpt outlines the situation of modern times when not only the scale of contemporary innovations differs from so called "traditional" ones, but most importantly they contrast qualitatively.

We frankly think that these three requirements that are absolute necessity dictated by current state of affairs, leads to qualitative change in state-citizen relationships. Moreover we should understand that no alternative can be found for development in the information age, as far as any isolationistic or "escape the reality" attitude is devastating both on the individual and state levels, with the high likelihood of de-socialization of the former and even loosing sovereignty of the letter.

Based upon the aforementioned statements, it seems clear, that caring for the inculcation and further development of the creative skills of citizen in the information age had already passed the private realm and became "the public issue." Sure, problem-solving is always may-fold and for the beginning promotion and support of the "culture of innovations" seems the most effective. This on the one hand should invite the citizen to create within himself/herself positive attitude towards innovations, while on the other, the state should regard the "culture of innovation" with due attention, presenting it as the most efficient model for the development.

Currently the innovative activities and the level of acceptance of the culture of innovations has turned into almost the same key indicator for the developed states as it is in regard of the level of inviolability/violation of the basic democratic values –inviolability of proprietary rights , freedom of expression, just and impartial courts, etc.- within them. The latter statement leads us to the conclusion, that "the culture of innovations" should obtain a political dimension and be regarded as one of the major indicator of the democratic development of the society.

This gloomy reality is particularly noticeable in developing countries, in post-soviet societies for instance. Underdevelopment of the culture of innovations is the basic reason of inability of these societies to be unwavering on the way of development, making them vulnerable to stagnation and regress. Regretfully, crisis that almost unavoidably follows, most frequently is wrongly understood and is incorrectly regarded as a failure of traditional democratic values and structures, even of the breakdown of the whole of the western civilization, leading to neglecting of democracy as a way of life and resulting in the establishment of authoritarian regimes and patrimonial order.

To our understanding, for the prevention of further proliferation of anti-western social stand in the developing countries, strengthening of democracy and market economy principles there, the developed countries and the respective international organizations should necessarily promote and strongly support the culture of innovations, focus on positive sides of the innovative activities. All the aforementioned measures will support constant development of post-soviet countries towards democracy, back their gradual, evolutionary transformation into the information age societies and in parallel to this process significantly lessen anti-western and anti-democratic threats in many countries worldwide.

სამეცნიერო-ტექნოლოგიური პროგრესი, როგორც განვითარების ინფორმაციული ფორმის უმთავრესი კომპონენტი, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინოვაციური პროცესის სახით ჰპოვებს ასახულობას. ინოვაციურობა თავის მხრივ წარმოადგენს კომპლექსური ხასიათის მოვლენას, რომელიც აერთიანებს მეცნიერებას, ტექნოლოგიას, ასევე ეკონომიკურ და მმართველობით საკითხებს. ვინაიდან ტექნოლოგიები ადამიანის მუნყოფიერების უკლებლივ ყველა სფეროში შეღწევადობის მაღალი დონით ხასიათდება, სწრაფი საზოგადოებრივი პროგრესი დიდწილად დამოკიდებულია იმაზე თუ რამდენად წარმატებით ხორციელდება სწორი ინოვაციური პოლიტიკა. ამ პროცესს, როგორც წესი განსხვავებული სახე და სპეციფიურობა გააჩნია მაგრამ უალტერნატიოა, რომ ინფორმაციულ ეპოქაში სამეცნიერო-ტექნოლოგიური პროგრესისა და ინოვაციური აქტიობის სტიმულირება სახელმწიფოებრივ პრიორიტეტს უნდა წარმოადგენდეს. ინოვაციურობა, როგორც აღვნიშნეთ, რთული და მრავალწახნაგოვანი პროცესია, მის თითოეულ კომპონენტს განსაზღვრული როლი ეკისრება საბოლოო შედეგის მიღებაში თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ინფორმაციულ საზოგადოებაში, რომელიც "ინოვაციური სიჭარბით" ხასიათდება, "სიახლეების სოციალიზაციის" ტრადიცული ფორმები არასაკმარისია. ამდენად მხოლოდ საზოგადოების ინოვაციური კულტურისა და ინოვაციური პოლიტიკის დონის ამაღლების შემთხვევაშია შესაძლებელი „სიახლეებზე ორიენტირებული" ინსტიტუტების ჩამოყალიბება.

ინოვაციები საკაცობრიო ისტორიის ნებისმიერ ეტაპზე უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდა, რაც უდაოდ არახალია, მაგრამ ამჟამად არსებული ვითარება თვისობრივად განსხვავებულია. განვითარების ინფორმაციული ფორმით განპირობებულმა საყოველთაო ინოვაციონიზმმა, ე.ტოფლერის სიტყვებით, რომ ვთქვათ საზოგადოება "კულტურული შოკის" მდგომარეობაში მოაქცია, რაც განპირობებულია მომავლის არაპროგნოზირებადობით, ცვლილებების მაღალი ტემპით და "ეგზისტენციური რისკით", რომელიც სრულიად ახალი ფენომენია და ე.გიდენსის განსაზღვრებით ადამიანის არსებობას საფრთხის წინაშე აყენებს. კერძოდ ის წერს "იმისათვის, რომ არსებულ ვითარებაში უკეთ გავერკვეთ, ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ რისკის ორი სახე: პირველი მომდინარეა გარეშე საფრთხეებიდან ანუ რისკი რომლის მიზეზი ვართ არა ჩვენ, არამედ ის დაკავშირებულია გარემომცველი ბუნების წესებთან და კანონებთან. Mმეორეს შეიძლება ხელქმნილი რისკი ვუწოდოთ და ის გარემომცველი სამყაროს ჩვენეული აღქმიდანაა გამომდინარე. ხელქმნილი რისკების კატეგორიას მივაკუთვნებთ ისეთ სიტუაციებს რომელსაც წარსულში ჩვენ ფაქტიურად არ შევხვედრილვათ, მაგალითად ეკოლოგიური საფრთხეები დაკავშირებული გლობალურ დათბობასთან. ...შეიძლება ითქვას, რომ ბოლო დრომდე, ინდუსტრიული ეპოქის ჩათვლით, ადამიანები ძირითადად გარემომცველ ბუნებასთან დაკავშირებულ რისკებს უფრთხოდენ, კერძოდ მოუსავლიანობა, წყალდიდობა, ეპიდემიები თუ შიმშილის საფრთხე. ამჟამად კი ვითარება შეიცვალა და ჩვენ უკვე ვუფრთხით არა იმას თუ რა შეიძლება დაგვიშაოს ბუნებამ, არამედ იმას თუ რა შეიძლება მას დავუშაოთ ჩვენ. Eესაა თვისობრივი ტრანსფორმაციის ეტაპი სადაც უკანა პლანზე გადადის ხელთუქმნელი რისკები და მის ადგილს ხელქმნილი იკავებს... ხელქმნილი რისკების მოქმედების არეალი მხოლოდ გარემომცველი ბუნებით არ შემოიფარგლება და ის საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში აღწევს". [1.გვ.42-43] შექმნილი ვითარება და მოსალოდნელი საფრთხეები კიდევ უფრო ადრე იწინასწარმეტყველა პოსტინდუსტრიული საზოგადოების ერთ-ერთმა თეორეტიკოსმა დ.ბელმა ის წერს "დღეს უკვე არამარტო წარსულთან კავშირის აბსოლიტური გაწყვეტის საფრთხის წინაშე ვიმყოფებით, არამედ შეუცნობი მომავლისათვის უნდა მოვემზადოთ. აღნიშნული საფრთხის წინაშე დგანან არა მხოლოდ ცალკეული ადამიანები არამედ საზოგადოება მთლიანად." [2.გვ.230]

ჩვენს მიერ მოყვანილი ეს ვრცელი ამონარიდი ვფიქრობთ საკმაოდ ცხადყოფს იმ გარემოებას, რომ თანამედროვე ეპოქაში მიმდინარე ინოვაციური პროცესი, არა მხოლოდ მაშტაბებით, არამედ რაც უმთავრესია, თვისობრივადაა განსხვავებული „ტრადიციული ნოვატორიზმისაგან". ალბათ არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ ნოვაციები, ადამიანების მიერ იმთავითვე აღიქმებოდა როგორც გამორჩეული ნიჭისა და უნარების მქონე პიროვნებების (გამომგონებლის) მიერ გაკეთებული აღმოჩენა, მართალია საინტერესო, მაგრამ „რიგითი მოქალაქისგან" შორს მყოფი, დამოუკიდებელი შესაძლოა სულაც „გამოუსადეგარი" მოვლენა. გარკვეულწილად ეს

მართლაც ასე იყო და ცალკეული გამოგონებები მიუხედავად იმისა, რომ ცვლიდნენ საზოგადოებრივ ყოფიერებას, ის მაინც აღიქმებოდა როგორც ადამიანის ცხოვრებათშემოქმედებითი პროცესის დამხმარე კომპონენტი და არანაირად მადეტერმინირებელი ფაქტორი.

XVIII-XX საუკუნეებში განხორციელებულმა ინოვაციურმა ნახტომმა (როგორც ტექნოლოგიურ და პოლიტიკურ, ასევე ზოგადად ჰუმანიტარულ სფეროში) თავისი ასახულობა ინდუსტრიულ ეპოქაი ჰპოვა. შესაბამისად მნიშვნელოვნად გაიზარდა სიახლეების როლი საზოგადოებრივ პროცესში, მაგრამ მიუხრდავად ამისა ისინი კვლავინდებურად დამხმარე (ძირითადად საწარმოო პროცესში) კომპონენტის სტატუსს ინარჩუნებდნენ. სავსებით სამართლიანად აღნიშნავს ი. შუმპეტერი, რომ „ინდუსტრიულ საზოგადოებაში „შემოქმედებითი დესტრუქცია“ მხოლოდ პერიოდულ ხასიათს ატარებდა, ხოლო მომავლის საზოგადოებაში ის საფუძველმდებელ პრინციპად გადაიქცევა“ [3. ელ. მის.: http://www.archipelag.ru/geoeconomics/osnovi/leader/theory/]

ი. შუმპეტერის შეხედულების ჭეშმარიტება, ვფიქრობთ, ინფორმაციულმა ეპოქამ დაადასტურა და დღეს უკვე ყველასათვის ცხადია, რომ თანამედროვე საზოგადოების განვითარების უმთავრეს ფაქტორად მეცნიერება და თეორიული ცოდნა გვევლინება.

შემოქმედებით-ნოვატორული ფაქტორების წინა პლანზე წამოწევა, რაც აისახება საყოველთაო და უწყვეტ ინოვაციურობაში, სრულიად განსხვავებულ საარსებო სივრცეს აყალიბებს. ინფორმაციული საზოგადოებისა და თანამედროვე მენეჯმენტის ერთ-ერთი თეორეტიკოსის მ.დრუკერის შეფასებით ,,არსებული რეალობა გვაიძულებს ადაპტირება მოვახდინოთ იმ ვითარებასთან, სადაც პერმანენტული ცვლილებები და ცოდნის მუდმივი განახლება, არის არა გამონაკლისი არამედ ყოველდღიური ცხოვრების ნორმა“ მისი აზრით ინფორმაციული საზოგადოების მოქალაქე წარმატების მისაღწევად მინიმუმ სამ მოთხოვნას უნდა აკმაყოფილებდეს: ა) სიახლეებისადმი სწრაფი ადაპტირება; ბ) პროფესიული უნარ-ჩვევების მუდმივი სრულყოფა; გ) მზადყოფნა პერსონალური საქმიანობის სფეროში უხელმძღვანელოს დასახული ამოცანების განხორციელების პროცესს. [4. ელ. მის.: http://www.archipelag.ru/geoeconomics/osnovi/leader/theory/].

ჩვენი აზრით, პიროვნებისადმი აღნისნული მოთხოვნების წაყენება, რაც უპირველეს ყოვლისა, დროითაა ნაკარნახევი, თვისობრივად ცვლის მოქალაქესა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობის პრინციპებს. დღეს ალბათ ისე როგორც არასდროს, ქვეყნის, ზოგადად მოსახლეობის კეთილდღეობა და წარმატება დამოკიდებულია არა იმდენად ობიექტურ მოცემულობაზე: სახელმწიფოს სიდიდე, წიაღისეული სიმდიდრე, სამხედრო ძალმოსილება და მსგ. არამედ, თითოეული ინდივიდის მზაობაზე, რაც შეიძლება სწრაფად გააცნობიეროს არსებული რეალობა, მოახდინოს საკუთარი თავის რესოციალიზაცია და თანამედროვე სტანდარტებთან მიახლოება. მითუფრო თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ინფორმაციულ ეპოქაში განვითარების ალტერნატიული გზა არ არსებობს, ვინაიდან კარჩაკეტილობას და რეალობიდან „გაქცევის” მცდელობას ერთმნიშვნელოვნად მივყავართ _ ინდივიდის დონეზე დესოციალიზაციის, ხოლო სახელმწიფოს შემთხვევაში დესუვერენიზაციის საფრთხემდეც კი.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, ნათელია, რომ ინფორმაციულ საზოგადოებაში მოქალაქის შემოქმედებით-ნოვატორული უნარ-ჩვევების განვითარებაზე ზრუნვა, უკვე დიდი ხანია გასცდა პერსონალურად გადასწყვეტი საკითხების რიგს და „საჯარო საქმედ“ გარდაიქმნა. მასზე ისევე მართებს ზრუნვა სახელმწიფოს, როგორც უნდა იზრუნოს დემოკრატიული პროცესების განვითარებაზე. თუმცა ამ უკანასკნელისაგან განსხვადებით, რომლის სტიმულირების



მექანიზმები მეტ-ნაკლებად ცნობილია და შესაბამისი ინსტიტუტებითაა გამყარებული, ინფორმაციული საზოგადოების „მოქალაქის“ ფორმირებისათვის აუცილებელი პრინციპების შემუშავება და განსაკუთრებით პოლიტიკური ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება, XXI საუკუნის უმთავრეს საკითხთა რიცხვს შეიძლება მივაკუთვნოთ. აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად, საწყის ეტაპზე მნიშვნელოვანია საზოგადოებაში „ინოვაციური კულტურის“ ფორმირების ხელშეწყობა. რაც ერთის მხრივ გულისხმობს მოქალაქეში ინოვაციური პროცესისადმი სწორი დამოკიდებულების ფორმირებას და მეორეს მხრივ ინოვაციურობის როგორც განვითარების მოდელის, სახელმწიფოებრივ რანგში აყვანას. ვინაიდან ინოვაციური საქმიანობისა და საზოგადოების ინოვაციური კულტურის დონის მაჩვენებელი ისეთივე პოლიტიკური ეფექტის მატარებელია როგორც ფუნდამენტური დემოკრატიული პრინციპების (კერძო საკუთრების ხელშეუხებლობა, სიტყვის თავისუფლება, სამართლიანი და მიუკერძოებელი სასამართლო და მსგ.) დაცვა ანდა უგულვებელყოფა. ამდენად ვთვლით, რომ „ინოვაციურობის კულტურა“ უნდა განვიხილოთ, როგორც პოლიტიკური დატვირთვის მქონე კატეგორია და საზოგადოების დემოკრატიულობის ერათ-ერთი ინდიკატორი, ერთ ერთი მაჩვენებელი.

განვითარების ინოვაციურ მოდელზე საზოგადოების ორიენტაცია ერთის მხრივ დაკავშირებულია ნოვატორიზმის პროცესის მოთხოვნების დაკმაყოფილებასთან, ხოლო მეორე მხრივ საჭიროებს საფრთხეების წინასწარ ჭვრეტისა და პრევენციის უნარს. მათ შორის გამოვყოფდით შემდგომ ძირითად საკითხებს: ინოვაციურობის სტრატეგიული მიმართულებისა და ფორმების განსაზღვრა-დაგეგმარება; ინოვაციათა სფეროში კონსულტირების ეფექტური მექანიზმების შემუშავება; ინოვაციური საქმიანობის სტიმულირება; ინოვაციური კულტურის ფორმირება, რაც საზოგადოების მხრიდან სიახლეებისადმი ადაბტირებისა და მისი „წარმოების“ მაჩვენებლით განისაზღვრება; ინოვაციათა დიაგნოსტიკა და პროგნოზირება ანუ სიახლეთა სარგებლიანობის შეფასების კრიტერიუმების შემუშავება. ინოვაციური კლიმატის უზრუნველყოფის მიზნით შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შექმნა.

სიახლეების დამკვიდრება, ზოგადად ახალ რეალიებთან ადაბტირება, როგორც ამ სფეროს აღიარებული სპეციალისტები უ. ტომასი და ფ. ზნანეცკი, სოციოლოგიური კვლევებით ადასტურებენ, იმასთანაა დაკავშირებული, თუ მოცემულ შემთხვევაში რა ტიპის ადამიანები სჭარბობენ საზოგადოებაში. ისინი გამოყოფენ სამ ტიპს: მეშანური, ბოჰემური და შემოქმედებითი. [5. ელ. მის. http://christsocio.info/content/view/949/124/] პირველი ორის დომინანტობის შემთხვევაში, ინფორმაციული საზოგადოება მოქალაქეების მხრიდან აღიქმება როგორც უსამართლო სისტემე, რის გამოც, ის უპირისპირდება პროგრესს. Gგანსხვავებულია შემოქმედებითი ტიპის ადანიანი, მხოლოდ ის შეძლებს „მომავლის საზოგადოებაში“ სრულფასოვან მოქალაქედ იგრძნოს თავი და აქტიური მონაწილეობა მიიღოს მის ფორმირებაში.

ჩვენი აზრით, ინფორმაციული საზოგადოების ფორმირების პროცესში დემოკრატიულ-ლიბერალურ ღირებულებებსა და საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე აგებული სისტემის პერმანენტული კრიზისი, მათ შორის რიგი განვითარებული ქვეყნების (მაგ.საბერძნეთი) ეკონომიკურ_პოლიტიკური სტაგნაცია, ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ პრობლემის სათავე არა ტრადიციული დემოკრატიული მექანიზმების კრიზისში, არამედ საზოგადოების ძირითადი ნაწილის მიერ ახლის ვერ მიღებაში, ინოვაციური კულტურისა და მისი შესაბამისი უნარ-ჩვევების ვერ დაუფლებაში უნდა ვეძიოთ. აღნიშნული პრობლემა განსაკუთრებული სიმწვავით განვითარებად სახელმწიფოებში (მაგ. პოსტსაბჭოთა ქვეყვებში) იჩენს თავს. ინოვაციური კულტურის დაბალი დონეა სწორედ იმის უმთავრესი მიზეზი, რომ ეს ქვეყნები ვერ ახერხებენ დინამიურ განვითარებას და საზოგადოება სტაგნაციაში ექცევა. შექმნილ კრიზისს კი მოქალაქეები სამწუხაროდ აღიქვამენ მცდარად, როგორც განვითარების დემოკრატიული მექანიზმების, ზოგადად დემოკრატიისა და დასავლური ცივილიზაციის კრიზისს, რაც საბოლოოდ დემოკრატიაზე უარის თქმით და ავტორიტარული თუ პატრიმონიალური წესრიგის დამყარებით სრულდება.

ჩვენი აზრით, განვითარებად სახელმწიფოებში ანტიდასავლური საფრთხეების პრევენციის, დემოკრატიზაციის პროცესისა და საბაზრო ეკონომიკის შემდგომი პროგრესისათვის, მნიშვნელოვანია, რომ მაღალგანვითარებულმა სახელმწიფოებმა და საერთაშორისო ორგანიზაციებმა განსაკუთრებული აქცენტი გააკეთონ ინოვაციონიზმზე _ საზოგადოებაში „ინოვაციური კულტურის“ დამკვიდრებაზე. სასურველია, რომ ოფიციალურ დოკუმენტებში (მაგ. საქართველოს შემთხვევაში; ევროკავშირი - საქართველოს ასოცირების შეთანხმება) სხვადასხვა მოთხოვნებთან ერთად, თავისი ასახულობა ჰპოვოს და ევროკავშირში გაწევრიანების ერთ-ერთ კრიტერიუმად, სწორედ ქვეყნის ინოვაციური კულტურის დონე იქნეს მიჩნეული. ასევე მნიშვნელოვანია, რომ დონორი ორგანიზაციებისა და საელჩოების მხრიდან ამ მიმართულებით გაკეთდეს განსაკუთრებული აქცენტი, რათა განხორციელდეს სხვადასხვა პროექტები და აქტიობები. ყოველივე ეს, ერთის მხრივ ხელს შეუწყობს პოსტსაბჭოთა ქვეყნების სტაბილურ განვითარებას, ინფორმაციულ საზოგადოებაში მათ ევოლუციურ გადასვლას და მეორეს მხრივ საგრძნობლად შეამცირებს ანტიდასავლურ და ანტიდემოკრატიულ საფრთხეებს მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Гидденс Э. Усколзающий мир. М.2004;
2. Белл Д. Грядущее постиндустриальное общество. М.1999;
3. http://www.archipelag.ru/geoeconomics/osnovi/leader/theory/;
4. http://www.archipelag.ru/geoeconomics/osnovi/leader/theory/;
5. http://christsocio.info/content/view/949/124/.